კოტეხი

რეგისტრაციის № 799

რეგისტრაცის თარიღი: 12/10/2007

საქონლის დასახელება: **ღვინო**

გეოგრაფიული მდებარეობა – მევენახეობის სპეციფიკური ზონა „კოტეხი“ მდებარეობს მდინარე ალაზნის შუა წელში, მარჯვენა სანაპიროზე, ჩრდილო განედის 41°45' და აღმოსავლეთ გრძედის 45°48' კოორდინატებზე. მიკრო-
ზონის ტერიტორია მოიცავს ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-
აღმოსავლეთი დაქანების ტყიან კალთებზე მიბჯენილ მთისწინებს და ალაზნის დაბლობს ზღვის დონიდან 250-700 მ-ის ფარგლებში.

კლიმატი – ამინდის ფორმირებას განაპირობებს სუბტროპიკულ და ზომიერ განედებში განვითარებული დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან გადმონაცვლებული ატმოს ფე-
რული პროცესები. აქ კლიმატი ზომიერად ნოტიოა, ცხელი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით.

მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 2150-
2200 საათის, აქედან სავეგეტაციო პერიოდში 1550-
1600 საათის საზღვრებში იცვლება. მიკროზონაში მზის პირდაპირი რადიაციის წლიური ჯამი ჰორიზონტალურ ზედაპირზე 71 კკალ/სმ^2, გაბნეული რადიაცია წლიურად 49 კკალ/სმ^2, ხოლო სავეგეტაციო პერიოდში 35 კკალ/სმ^2-
ს უდრის. სუმარული რადიაციის წლიური მნიშვნელობა 120 კკალ/სმ2-
ია, ხოლო თბილ პერიოდში 90 კკალ/სმ^2.

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა საკმაოდ მაღალია და 12,4°C უდრის. ყველაზე თბილი თვეებია - ივლისი და აგვისტო, რომელთა საშუალო ტემპერატურა თანაბარია და 23,6°, ყველაზე ცივი თვის (იანვარი) კი +0,9°-
ია. წლიური აბსოლუტური მინიმუმებიდან საშუალო მინუს 10°, აბსოლუტური მაქსიმუმებიდან საშუალო კი 35° უდრის. ექსტრემალური ტემპერატურები -
22 და +38° საზღვრებშია.

მხარის უმეტეს ნაწილში ჰაერის ტემპერატურის 10°-
ზე ზევით მდგრადი გადასვლა აპრილის I დეკადაში (5.IV) და 10°-
ზე ქვევით ნოემბრის პირველ რიცხვებში (3.XI) ეცემა. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძ
ლივობა 211 დღეს უდრის. ამ პერიოდში გროვდება 3930°-
მდე აქტიურ ტემპერატურათა ჯამი.

მოწმენდილ დღეთა (0-
2 ბალი) წლიური რიცხვი, საერთო და ქვედა ღრუბლიანობის მიხედვით 51 და 132-
ს უდრის. სავეგეტაციო პერიოდში ეს მაჩვენებელი, აღნიშული ღრუბლიანობების შეს
აბამისად 36 და 79 დღეს უტოლდება.

ღრუბლიანი დღეების წლიური რაოდენობა (8-
10 ბალი) საერთო და ქვედა ღრუბლიანობის შესაბამისად 113 და 59-
ს, სავეგეტაციო პერიოდში კი 54 და 26 შეადგენს.

ზაფხულის დაწყებიდან 85 დღის განმავლობაში ჰაერის საშუალო დღეღამური ტემპე
რატურა 20°C-ზე მაღალია. ამ პერიოდში 34 დღის განმავლობაში (10.VII-
13.VIII) ჰაერის საშუალო ტემპერატურა 23° და მეტსაც აღწევს.

შემოდგომის პირველი წაყინვები ნოემბრის მესამე დეკადაში (25.XI-
დან) იწყება. ათ წელიწადში ერთხელ წაყინვა შესაძლოა ოქტომბრის დასასრულს (30.
X-დან) დაიწყოს. ბოლო წაყინვები საშუალოდ 24.III-
დან წყდება. ათ წელიწადში ერთხელ გაზაფხულის წაყინვები აპრილის შუა რიცხვება
მდეც არის მოსალოდნელი.

ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 804 მმ, აქედან სავეგეტაციო პერიოდში 578
მმ მოდის. წლიური ნალექებიდან მაქსიმუმი (124 მმ) მაისში, ხოლო მინიმუმი (32 მმ)
იანვარში აღინიშნება. ნალექები თოვლის სახით ჩნდება დეკემბრის ბოლო რიცხვებში
, რომელიც მარტის შუა რიცხვებამდე ქრება. ამ პერიოდში 6-
7 სმ საშუალო დეკადური სიმაღლის თოვლის საბურველი 25 დღის განმავლობაში დე
ვს.

ჰაერის შეფარდებითი სინოტივის მნიშვნელობა საშუალოდ 72% უდრის. ჰაერის ტენი
თ გაჟღენთილობა ყველაზე მეტი (80%) ნოემბერში, ყველაზე ნაკლები (64%) კი აგვისტ
ოშია.

სეტყვიანი დღეების საშუალო წლიური მნიშვნელობა 1,7-
ს უდრის. წლის განმავლობაში ყველაზე სეტყვიანი მაისი და ივნისია (0,6-
0,4). განსაკუთრებულ წლებში სეტყვა შესაძლოა მოვიდეს 6-ჯერ.

ალუვიურ-
კარბონატული ნიადაგის სიღრმის ტემპერატურული იზოპლეტების ანალი-
ზიდან გამომდინარე, 5-50 სმ სიღრმის ფენაში, საშუალო ტემპერატურის 100-
ზე ზევით მდგრადი გადასვლა აპრილის პირველ დეკადაში ხდება, ხოლო შედარები
თ მეტ სიღრმეზე (50-100 სმ) – აპრილის შუა რიცხვებისაკენ იწევს.

მაისის შუა რიცხვებში ნიადაგის 10-120 სმ-ის სიღრმის ფენაში ტემპერატურა 15°-
ზე მაღალი ხდება. ივნისის შუა რიცხვებიდან სექტემბრის ბოლომდე –
3 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში 5-დან 70 სმ-
მდე სიღრმის ფენაში ტემპერატურა 20°-ზე მაღალია.

ძირითადად გაბატონებულია სამხრეთ-
დასავლეთის (33%) და დასავლეთის (18%) ქარები. იშვიათად მათ ენაცვლება აღმოსავ
ლეთის (12%) ქარები. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 1,7 მ/წმ-
ია, წლის განმავლობაში ყველაზე მეტი სიჩქარე ქარს (1,9 მ/წმ) მარტში, ყველაზე ნაკლ
ები (1,5 მ/წმ) კი დეკემბერში აქვს.

მრავალწლიური მონაცემების მიხედვით, ჰაერის ტემპერატურების წლიური აბსოლუ
ტური მინიმუმებიდან საშუალო, როგორც აღინიშნა -
10°C უდრის. ათ წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია მინიმალური ტემპერატურის (
მცირე ხანგრძლივობით) -15°-
მდე დაცემა, რაც იწვევს ვაზის კვირტების მხოლოდ სუსტ (< 30%) დაზიანებას.

ნიადაგი – წარმოდგენილია ყავისფერი, მუქი ყავისფერი, ალუვიურ-
დელუვიური და ალუვიურ-პროლუვიური ნიადაგების სახესხვაობები:

ყავისფერი, დიდი სისქის, კარბონატული, სუსტად ხირხატიანი თიხნარ-თიხიანი.

ყავისფერი, საშუალო სისქის, კარბონატული, სუსტად ხირხატიანი, თიხნარი და თიხ
იანი.

მუქი ყავისფერი (ძველი ალუვიური), დიდი და საშუალო სისქის, კარბონატული, სუს
ტად ხირხატიანი, თიხიანი.

ალუვიურ-
დელუვიური, დიდი სისქის, კარბონატული, სუსტად ხირხატიანი, თიხნარი.

ალუვიურ-
პროლუვიური, დიდი სისქის, კარბონატული, სუსტად ხირხატიანი, თიხნარი.

დიდი სისქის ყავისფერი და მუქი ყავისფერი ნიადაგების პროფილის სისქეები 100-130 სმ-ის ფარგლებში, ჰუმუსიანი ფენისა კი 60-80 სმ; ალუვიურ-
პროლუვიური და ალუვიურ დელუვიური ნიადაგების პროფილის სისქეები ყველგან დიდია და 100 სმ-
ს აღემატება; საშუალო სისქის ყავისფერი და მუქი ყავისფერი ნიადაგების პროფილის სისქეები 60-70-დან 70-80 სმ-მდე ცვალებადობს, ჰუმუსიანი ფენისა კი 50-60 სმ-
მდე; მექანიკური შედგენილობის მხრივ ზედა ზონის ნიადაგები ძირითადად თიხნარ
ი და თიხიანი მექანიკური შედგენილობით ხასიათდებიან. აქ ფიზიკური თიხის (<0,0
1 მმ) ფრაქცია 40,6 – 67,4%-
მდეა; ქვედა ზონის ნიადაგებში კი, რომლებიც ძირითადად გადაადგილებული და გა
მოტანილი მასალებისგან არის ჩამოყალიბებული, მექანიკური შედგენილობით მძიმე
თიხნარებია, იგივე ფრაქცია აქ 60,0%-
მდეა, სტრუქტურა ყავისფერი ნიადაგების ზოლში მათ საპლანტაჟო ფენებში (0-
50 სმ) მარცვლოვან-კოშტოვანი-გორობოვანი და კოშტოვან-
მარცვლოვანია, ქვედა ფენებში კი სტრუქტურა სუსტადაა გამოხატული, ალუვიური ნ
იადაგების ზოლში სტრუქტურა კოშტოვან-მარცვლოვანია და წვრილმარცვლოვან-
კოშტოვანია, ქვედა ბოლო ფენები კი უსტრუქტურო.

ჰუმუსის შემცველობა ისე როგორც ყავისფერი ნიადაგების, აგრეთვე ქვედა ალუვიურ
-
ნიადაგიან ზოლში მათ საპლანტაჟო ფენებში მცირე და საშუალო რაოდენობითაა 1,54
-3,09%-
ის ფარგლებში, ჰიდროლიზური აზოტის შემცველობა ზედა და ქვედა ზოლის ნიადაგ
ებში დაბალია და 5,60 მგ-
ს არ აღემატება 100 გ ნიადაგში, ხსნადი ფოსფორის შემცველობა დაბალია და 2,0 მგ-
მდეა 100 გ ნიადაგში, გაცვლითი კალიუმის შემცველობაც აგრეთვე დაბალია 2,0-
7,2 მგ-
ის ფარგლებში 100 გ ნიადაგში, კალციუმის კარბონატების შემცველობა ყავისფერი ნი
ადაგების ზოლში საშუალო და მაღალია 9,2-
20,0%, ქვედა ზოლში კი მისი შემცველობა მცირე და 8,0%-
ს არ აღემატება, ნიადაგის არეს რეაქცია სუსტი და საშუალო ტუტეა – PH=7,1-
8,0, ნიადაგები ხასიათდებიან სუსტი ხირხატიანობით.

აგროტექნოლოგიური რეგლამენტები

„კოტეხის“ დასახელების ღვინომასალის მისაღებად, ნიადაგურ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით, დაცული უნდა იქნეს შემდეგი აგროტექნ ოლოგიური რეგლამენტები.

ჯიში რქაწითელი

გავრცელების არეალი: ზღვის დონიდან 750 მეტრამდე.

დარგვის სქემა: 2,0 X 1,5 მ; 2,5 X 1,5 მ;

შტამბის სიმაღლე: 80-100 სმ.

სხვლის ფორმა: თავისუფალი და ქართული ორმხრივი შპალერი.

დატვირთვის ნორმა 1მ^2-ზე: 8-10 კვირტი.

მოსავალი: 1 ჰა-ზე 9-10 ტონა.

ჯიში საფერავი

გავრცელების არეალი: ზღვის დონიდან 750 მეტრამდე.

დარგვის სქემა: 2,0 X 1,5 მ. 2,5 X 1,5 მ.

შტამბის სიმაღლე: 80-100 სმ.

სხვლის ფორმა: ქართული ორმხრივი შპალერი და თავისუფალი.

დატვირთვის ნორმა 1მ^2-ზე: 8-10 კვირტი.

მოსავალი: 1 ჰა-ზე 7-8 ტონა.

ნიადაგის მოვლა-დამუშავება

სარწყავში – ბოლო სავეგეტაციო მორწყვის დამთავრება რთველის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, ნიადაგის საშემოდგომო და საგაზაფხულო ხვნა, ნიადაგის მინიმალური დამუშავება. ტენდამცველი ღონისძიებები – ნიადაგის ზედაპირის ფხვიერ მდგომა-
რეობაში შენარჩუნება (კულტივაცია, ფრეზირება, მულჩირება).

განოყიერება

ორგანულ-მინერალური სასუქების გამოყენება კარტოგრაფიული რეგლამენტებით.

ფიტოსანიტარული რეგლამენტი:

ძირითადი დაავადებები: ჭრაქი, ნაცარი, სიდამპლე.

მავნებლები: ტკიპა, ყურძნის ჭია, ვაზის ცრუფარიანა.

ბრძოლის ღონისძიების გატარება: საქართველოში რეგისტრირებული, კონტაქტური და სისტემური პრეპარატებით.

რქაწითლისა და საფერავის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

რქაწითელი – თეთრყურძნიანი ვაზის საღვინე ჯიშია. იგი გამოირჩევა მაღალი სამეუ
რნეო-
ტექნოლოგიური თვისებებით. ხასიათდება სხვადასხვა პირობებისადმი გამძლეობით
 და პროდუქციის მაღალი ღირსებით. ჯიში საშუალო ან საშუალოზე საგვიანო პერიო
დისაა, უხვმოსავლიანი (მტევნის საშუალო წონა 160-250 გ-
მდე). საშულო მოსავალი ჰექტარზე 9-10 ტონა.

მწიფე ყურძენში შაქრიანობა 240 გ/დმ^3 აღწევს, 7,8 გ/დმ^3 მჟავიანობის შენარჩუნებით.

საფერავი – ქართული, ფერადყურძნიანი მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი ვ
აზის საღვინე ჯიშია. მისგან დამზადებული ღვინო ინტენსიური მუქი წითელი ფერის
აა, ალკოჰოლისა და სიმჟავის ზომიერი შემცველობით, სხეულით, სისრულით, სიხალ
ისით, მდიდარი ბუკეტითა და მაღალი გემური თვისებებით.

მტევანი საშუალოზე დიდია და მისი წონა 140-
145 გ აღწევს. სიმწიფეში მუქი ლურჯია, ხორციანი, წვნიანი, სასიამოვნო ტკბილი გემ ოთი.

ყურძენი სექტემბრის მეორე ნახევარში მწიფდება. ვაზი საშუალოზე ძლიერი ზრდისა ა, კონდიციური პროდუქციის მისაღებად საჰექტარო მოსავალი 7-
8 ტ ფარგლებში მერყეობს.

მწიფე ყურძენში შაქრიანობა 200-260 გ/დმ^3-მდე აღწევს 7,5-8,5 გ/დმ^3 მჟავიანობით.

ღვინო „კოტეხი“ (თეთრი) –
„კოტეხი“ - ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირე-
ბადი უმაღლესი ხარისხის თეთრი მშრალი ღვინოა. იგი მზადდება რქაწითელის ჯიშ ის ყურძნისაგან ტკბილის სრული დადუღებით.

ღვინო „კოტეხი“ ხასიათდება ღია ჩალისფერი შეფერვით, ჯიშური არომატით, სასიამ ოვნო გემოთი.

ღვინო „კოტეხის“ ქიმიური მონაცემები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მაჩვენებლებს:

მოცულობითი სპირტშემცველობა, % – 10,5-12,0

შაქრების მასური კონცენტრაცია – არა უმეტეს 4 გ/დმ^3

ტიტრული მჟავიანობა ღვინომჟავაზე გადაანგარიშებით უნდა იყოს არანაკლებ 5,0 გ/ლ

აქროლადი მჟავიანობა – არა უმეტეს 1,0 გ/დმ^3

დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია – არა ნაკლებ 16 გ/დმ^3

დანარჩენი ნორმატივები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს საკანონმდებლო აქტებ ს და ევროსაბჭოს 1999 წლის 17 მაისს ¹1493/1999 დადგენილებას.

ღვინო „კოტეხი“ (წითელი) – „კოტეხი“
– ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირე-
ბადი უმაღლესი ხარისხის წითელი მშრალი ღვინოა. იგი მზადდება საფერავის ჯიშის ყურძნისაგან, დურდოს სრული დადუღებით.

ღვინო „კოტეხი“ ხასიათდება წითელი ფერით, ჯიშური არომატით, ნაზი, ხავერდოვა ნი გემოთი.

ღვინო „კოტეხის" ქიმიური მონაცემები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მაჩვენებლებს:

მოცულობითი სპირტშემცველობა, % – 10,5-12,0

შაქრების მასური კონცენტრაცია – არა უმეტეს 4 გ/დმ^3

ტიტრული მჟავიანობა ღვინომჟავაზე გადაანგარიშებით უნდა იყოს არანაკლებ 4,5 გ/ლ

აქროლადი მჟავიანობა – არა უმეტეს 1,2 გ/დმ^3

დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია – არა ნაკლებ 20 გ/დმ^3

დანარჩენი ნორმატივები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს საკანონმდებლო აქტებ ს და ევროსაბჭოს 1999 წლის 17 მაისს [1]1493/1999 დადგენილებას.

სპეციფიკური ზონის ფართობი

„კოტეხის“ სპეციფიკური ზონის ფართობი შეადგენს დაახლოებით – 14 კმ^2.

მდებარეობა, მიკროკლიმატი, სუბტროპი-
კულ და ზომიერ განედებში განვითარებული (დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან გად-
მონაცვლებული) ატმოსფერული პროცესები, გავრცელებული ნიადაგები და აბორიგე ნული ჯიშების უნიკალურობა განსაზღვრავს „კოტეხის“ ღვინოების განსაკუ-
თრებულ თვისებებს.


ბურჯაანის რაიონი
GURJAANI REGION
ბერბუკი
ᲐᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲐᲜᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ
LEGEND
კიტეხის ზონა
Katekhi zone
ქალაქის ტერიტორია
territory of city
სოფლები
villages
რკინიგზები, railways
გზატკეცილები, highways
გაუფენელებელი გზები
roads without surfacing
რაიონის საზღვარი
boundary of region
მასშტაბი 1:200 000
SCALE 1:200 000